სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N107

ქ.ქუთაისი 07 ივლისი 2022 წელი

ერთის მხრივ, ააიპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ (ს/კ 412722914) (შემდგომში „შემსყიდველი“), აღმასრულებელი დირექტორი მარინე ხაჭაპურიძის სახით, (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №9ა) ,მეორეს მხრივ მეორეს მხრივ, შპს გორგია, (ს/ნ 245621288), (შემდგომში „მიმწოდებელი“) დირექტორის მინდობილი პირი ნინო სალდაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციას მიაწოდოს შემდეგი სახის ნივთები. კერძოდ:
ააიპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“-ს მიაწოდოს სამეურნეო ნივთები. (ხელშეკრულება წარმოდგენილია დანართი N1 ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.)
1.2. CPV კოდები:
31700000 - ელექტრონული,ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური აქსესუარები - 290 ლარი.
44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები -1657 ლარი.
44400000 - სხვადასხვა წარმოების მასალა და მასთან დაკავშირებული საგნები - 35 ლარი და 50 თეთრი.
44500000 - ხელსაწყოები,საკეტები,გასაღებები,ანჯამები,ზამბარები - 799 ლარი და 27 თეთრი.
42900000 - სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა დანადგარები - 2195 ლარი.

შესყიდვის საფუძვლები: გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით.
მოხსენებითი ბარათი: 114-01-20-3-202207051421, N 114-01-20, 05/07/2022.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1შესასყიდი საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს 4976.77 (ოთხიათას ცხრაას სამოცდათექვსმეტი ლარი და 77 თეთრი).
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ააიპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ უფლებამოსილი პირი - ოქროს ჩარდახის კოორდინატორი გიორგი აბულაძე.
3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. მიწოდების ვადები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მოწოდება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 2022 წლის 17 ივლისის ჩათვლით.
4.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს საქონლის შესყიდვის პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 2022 წლის 17 ივლისის ჩათვლით.
5.2,,შემსყიდველი"–ს მიერ მოწოდებული მიღებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

5.3 ფაქტიურად შესყიდვის მომსახურების მიღებას განახორციელებს ააიპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი - - ოქროს ჩარდახის კოორდინატორი გიორგი აბულაძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე
6.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ფაქტიურად მოწოდებული საქონლის დასახელება და ღირებულება;
ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;
გ) საგადასახდო ანგარიშ ფაქტურა (დღგ-ს გადამხდელად არსებობის შემთხვევაში)
6.3. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს გონივრულ ვადაში მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:
– საქონლის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია
9.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
9.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
9.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 1000 (ათასი) ლარს.

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%–ს.

10.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

10.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მომწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2022 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით.

15.2 საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ა(ა)იპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (ს/კ **412722914**) მისამართი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის 9ა. აღმასრულებელი დირექტორი მარინე ხაჭაპურიძე ტელ: 595 18 68 18; 571 05 22 14 Imereti Destination Management Organization Digitally signed by Imereti Destination Management Organization Date: 2022.07.07 15:57:58 +04'00'	შპს „გორგია“ ს/კ : 245621288 სს " თიბისი ბანკი" ბ/კ TBCBGE22 ა/ა: GE62TB1007536020100008 მის: ქუთაისი,ჭავჭავაძის ქ.8/4 ხელმომწერი პირი: ნინო სალდაძე Nino Saldadze 60001055414 Digitally signed by Nino Saldadze Date: 2022.07.07 17:19:14

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა		ფასი	თანხა	კოდი
1	მინაბოჭკოვანი მილი	40	მეტრი	4.45	178	44162500
2	მაღალი წნევის სარეცხი აპარატი	1	ცალი	2195	2195	42900000
3	ჩამრეცხი მექანიზმი	1	ცალი	35.50	35.50	44411750
4	ქვა ბამბა(ნარინჯისფერი)	10	ცალი	52	520	44111510
5	პენეტრონი	1	ცალი	665	665	44111510
6	საკეტის გულანა	1	ცალი	7	7	44522000
7	ელ.ხრახნდამჭერი	1	ცალი	268	268	44510000
8	კარისს საკეტი პატარა	1	ცალი	20.30	20.30	44521110
9	სტოპკონექტორი	1	ცალი	2.70	2.70	44522000
10	აბაზანის საკეტის მექანიზმი	1	ცალი	26	26	44521110
11	სახელური აბაზანის კარის შავი	1	ცალი	20	20	44521110
12	ბოქლომი	1	ცალი	12.10	12.10	44521210
13	ბოქლომი	1	ცალი	11.10	11.10	44521210
14	სარწყავი თოფი	1	ცალი	10.17	10.17	44510000
15	ხელსაწყოების კომპლექტი	1	ცალი	379	379	44510000
16	სარწყავი შლანგი	1	ცალი	125	125	44165000
17	ფისკარსის შლანგი	1	ცალი	169	169	44165000
18	კარის საკეტი	1	ცალი	42.90	42.90	44521110
19	ელ.სადენი	100	მეტრი	2.90	290	31700000
	ჯამი:				4976.77	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბიმისად, ხელის მოწერით ვადასტურებს, რომ შპს „გორგია“, ს/ნ 245621288, ხელმომწერი პირი ნინო სალდაძის სახით შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ ,, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია “

აღმასრულებელი დირექტორი:

მარინე ხაჭაპურიძე